572 / 1980/2

ISSN 0132-5965
ეროვნული ბიბლიოთეკა

1980 აგვისტო №8

# დილა





იარეს, ბავშვების ჟრიამული შემოესმათ.

— ეს ჩვენი ბანაკია! — თქვა ნატო ხელმძღვანელმა.

— „შე-ვარ-დე-ნი" — წაიკითხა თამრიკომ დამარცვლით პატარა „ქალაქის" სახელი. შესასვლელში მეორე წარწერაც იყო: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!"

ოქტომბრელებმა საქმიო შემოწმება გაიარეს ბანაკის ექიმთან ლეილა ქეთევანთან. მერე კი ისინი პატარა კოტეჯებისაკენ წაიყვანეს, ეს თქვენი საძინებელი სახლებია...

ბანაკის ოქტომბრელთა რაზმი ვარსკვლავებად დაანაწილეს და ერთი ვარსკვლავის ხელმძღვანელად ელგუჯა აირჩიეს.

ოქტომბრელებმა პირველ დღესვე თავ-თავისი ხელით მორთეს და მოაწყვეს თავიანთი კოტეჯები.

**ნათელა ფაილოძე**

# ელგუჯა ქვიშხეთში ბანაკში

მატარებელი „თბილისი-ბორჯომი" ბაქნიდან დაიძრა...

ბავშვები ჟრიამულით დაემშვიდობნენ გამცილებლებს...

— მე ახალდაბაში მივდივარ! — გაეცნო ელგუჯას ერთი ბიჭუნა.

— მე ქვიშხეთში!

— მე კი წაღვერში! — თქვა ნაწნავებიანმა გოგონამ.

— წაღვერში შარშან ვისვენებდი, ყოველდღე სათევზაოდ დავდიოდით გუჯარეთულაზე, ახლაც მიმაქვს ანკესი, ისეთ რა მეთევზე ვარ! — დაიტრაბახა ერთმა.

— იქ ნაძვნარი სულ ციყვებით არის სავსე. მე ციყვებზე ლექსიც დავწერე, — არ ჩამორჩა მეორე.

— მე ბაკურიანში ვიყავი, მელიების მეურნეობა ვნახე!..

...შუადღისას მატარებელი ქვიშხეთში ჩავიდა. ელგუჯა და კიდევ ოცი ოქტომბრელი ნატო ხელმძღვანელთან ერთად ბაქანზე გადმოვიდნენ.

მტკვარზე გაბმულ ბეწვის ხიდზე პიონერების გრძელი მწკრივი დაინახეს.

— სათივისაკენ მიდიან, — აუხსნა პატარებს ნატო ხელმძღვანელმა და წინ გაუძღვა.

...პატარა ტყეს რომ გასცდნენ და არხზე გადებულ ხიდზე გადა-

ელგუჯა მალე შეეჩვია ბანაკს. ისიც მალე გაიცნეს. გაიგეს, რომ კარგად ცეკვავდა და ცეკვის წრეში ჩაწერეს; მას მერე პიონერულ საზეიმო კოცონებთან ელგუჯა თინიკოსთან ერთად ასრულებდა ხოლმე „ქართულს".

ბანაკში ყველა მონდომებულია თავი გამოიჩინოს ამხანაგებთან. ზოგი მღერის, ზოგი ლექსებს კითხულობს, ზოგი შრომაშია დაუზარელი, ზოგიც სპორტში.

...დღე დღეს მისდევდა. საბანაკო დღეები ისე მიიწურა, ელგუჯამ მოწყენაც ვერ მოასწრო. თავისი ვარსკვლავის ოქტომბრელებთან ერთად სად არ იყო, რა არ გააკეთა:

...გაიცნო ქვიშხეთელი ბავშვები.

...გვერდში ამოუდგა რაზმეულის პიონერებს, როცა მათ სამურაბე წენგოს შეგროვება დაევალათ... შეაგროვა და ხაშურის აფთიაქს ჩააბარა სამკურნალო მცენარე მრავალძარღვა.

...პიონერებს ქვიშხეთის ტყეში გაჰყვა და მათთან ერთად კოცონისათვის ფიჩხი მოაგროვა... მერე კი ბანაკში ისეთი კოცონი აგიზგიზეს, ალი ცას სწვდებოდა...

...ერთხელ ბანაკთან ერთად მატარებლით ბორჯომში ჩავიდა — პიონერებმა და ოქტომბრელებმა იქ მხარეთმცოდნეობის მუზეუმი დაათვალიერეს.

...იყო ტაშისკარში, სააკაძის ველზე... იკითხა, რატომ ეძახიან სააკაძის ველს ამ მიდამოებს? — ხემთვირა მასწავლებელმა ოქტომბრელებს გიორგი სააკაძის ბრძოლებზე უამბო. ძია ბიძინამ მათ სოფლის მიდამოები გააცნო; საბჭოთა მეურნეობის დირექტორთან მიიყვანა. ვენახში და ბაღ-



ბოსტანში ვიმუშავებთ, მოგეხმარებით, — შესთავაზეს მას ოქტომბრელებმა.

თავმჯდომარემ გაიღიმა, ჯერჯერობით მუშახელი გვყოფნის, თუ დაგვჭირდით, დაგიძახებთო.

ძია ბიძინამ ოქტომბრელებს ჩანჩქერიც უჩვენა და ქვიშხეთის მიდამოებში სულ საცალფეხო ბილიკებით ატარა...

...ელგუჯამ მტკვარზე თევზაობითა და ბანაობითაც იჯერა გული. ქვიშხეთის ტყეში ხომ მგონი ყველა ფიჭვსა და ნაძვს სცნობს. ბანაკში ელგუჯას ძალიან მოეწონა ძია ვახტანგი — ბანაკის უფროსი.

ძია ვახტანგმა საყვირზე დაკვრაც იცის და სპორტული შეჯიბრების მსაჯობაც შეუძლია. პიონერულ კოცონს ბავშვებთან ერთად ცეკვით ჩამოუვლის ხოლმე...

...ივლისის ბოლოს ბანაკში დედა ჩავიდა ელგუჯას წასაყვანად. ელგუჯა შეეხვეწა:

— სათიბში ბალახი შემოსულა, ბარემ მოვთიბავთ, დიდი ზვინი უნდა დავდგათ... დამტოვე რა, დედი!

ბანაკის უფროსმაც გაიღიმა:

— რაკი ბიჭს სათიბში ბალახი მოსათიბი დარჩენია, სხვა გზა არ არის, უნდა დავტოვოთ. აგერა, ყვავილნარიც გასაშენებელი გვაქვს.

ელგუჯა ბანაკში დარჩა, ახლაც ქვიშხეთშიისვენებს.

# მაყვალი



რევაზ ინანიშვილი

წავედი მაყვალზე. იქ კი არა, სოფლის გოგო-ბიჭობა და ქალები რომ დადიან, შორს, მდინარის გაღმა, ღეკიან ჭალაში. ხომ სულ ასე გვგონია, მდინარის გაღმა, ჩვენიდან შორს, ნაკლებად ხვდება ადამიანის ფეხი! ვიარე, ვიარე, ვიარე. მაყვალის ერთ რიგიან ბარდსაც კი ვერ წავაწყდი. ხელცარიელს რა დამაბრუნებდა, შინ ბარტყებივით პირდაღებული პაწაწინა შვილიშვილები მელოდნენ, მაყვალს იმათ უწურავდნენ და წვენს ასმევდნენ. სად რა ჭაობებში ვტოპე, სად რა ბუწკნარში გავძვერი, სად რა ფლატეზე ავბობღდი! ბოლოს როგორც იქნა, ორჭიქიანი მინის ქილა გავავსე, ზოგი წვრილით, ზოგი ჩიტის ნაკენკით. ამაზედაც მადლობელი უნდა ვიყო-მეთქი, მოვუკარი იმ ქილას თავი. ჩავიდე ჩანთაში, ავიღე ჯოხი და შინისკენ გამოვაბიჯე, რომ შაშვები ამიფრინდნენ ჭახჭახით. რასა ვხედავ: წყალი ჩამოჩხრიალებს პატარა კლდიდან, იმ კლდის თავზე ტოტებშემხმარი ბებერი წნორი დგას, წნორის ქვეშ მოლურჯო ბარდია, გრძლად წასული ბარდი. ის ბარდი სულ მაყვალია და ასხია, ასხია, შავად არის მიბნელებული. უცებ დამიბრუნდა რწმენა—თუ გაირჯები, დაუჯილდოებელი არ დარჩები. ჩანთაში საწერი ქაღალდი მქონდა, გავაკეთე ერთი მაბრულა პარკი, გავავსე, თან გულიანად გეახლებით მაყვალს. გავაკეთე მეორე პარკი, ისიც გავავსე. მაინც არ მეთმობა იქაურობა. გავაკეთე კულმუხოს ფოთლის პარკიც. ისიც გავავსე. მაყვალი წნორზედაც იყო ახოხებული, რამდენიმე კუნწულა თვალის მიმტაცად გადმოკიდებულიყო მაღლიდან. მოვიხსენი ჩანთა, დანით გავიკაფე წნორამდე მისასვლელი, ავბობღდი წნორზე. მარცხენა ხელით ერთ ტოტზე ვარ დაკიდებული, მარჯვენით დანა მიკავია და იმ დანით მაყვლის კუნწულებს ვეწვდები. ავჭერი ერთი კუნწულა, ავჭერი მეორე, მესამეს ვწვდები, და „ჭაახ!“ დაიმახა წნორის ტოტმა. ზრიალით წავედი შიგ მაყვლის ბარდში, ტოტიც ზედ დამეცა. ისეთმა შიშმა გამიარა ფეხებში, წამოდგომას ვეღარ ვახერხებდი. ბოლოს მაინც ავდექი. ჩემდა გასაოცრად, არც რამე მქონდა ნატკენი, არც დაგაზული ვიყავი, დანაც კი არ გამვარდნოდა ხელიდან. ავიხედე მაღლა. მაყვლის კუნწულები ისევ ლამაზად იყო გადმოკიდებული წნორიდან. გამეღიმა და ხმამაღლა ვუთხარი ჩემს თავს:

— ერთი პატარა ქილა მაყვალი გინდოდა, ის ქილა გაავსე; გაავსე კიდევ ორი ქაღალდის პარკი, გაავსე კულმუხოს პარკიც. ასჯერი ერთი კუნწულა, მეორე კუნწულა. რა გაუმაძღრობაა—იქნებ შენს გარდა სხვასაც უნახავენ მაგ კუნწულებს მაყვალი და წნორი!

ბარდიდან გამოვძვერი, ჩანთა გადავიკიდე და ჩქარი ნაბიჯით წამოვედი შინისკენ. ბებერ წნორს ჩამოხლეჩილი ადგილი პირიყით დაეღო და თითქოს სადაც იყო მომამახებდა:

— ეე! ეე! ეე!



მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარი ვაჟა მელაშვილი



# როცა დიდი გავიზრდები

როცა დიდი გავიზრდები
და ვისურვებ ტანის ბანას,
ჩემს დედიკოს ან ჩემს ბების
დამბანეთო, ვეტყვი განა!
არა, არა, გწამდეთ მაშინ
ახლოს არვის არ მოვუშვებ,
ამ ჩვენს დიდ აბაზანაში
ორთავე ონკანს მოვუშვებ.
დავიხეხავ ნელა-ნელა
კისერს, მუცელს, პირისახეს
და თეთრ ზეწარს ქათქათელას
ჩემს თავს თვითონ შემოვახვევ,
მერე იმდენ პატივს დავდებ,
ხელშიც თვითონ ავიტატებ
და მივიყვან ლოგინამდე.

ეს ლექსი ჩემს პატარა მეზობელს მიშკას წავუკითხე, ჯერ ჩაფიქრდა, მერე გაოცებულმა მითხრა:
— როგორ შეიძლება შენი თავი თვითონ წაიყვანო აბაზანიდან ლოგინამდე, ფეხები ხომ ისევ დასაბანი გაგიხდება?

თარგმნა **გივი ჭიჭინაძემ**

# ბზიკი

**ვლადიმერ პრიხოდკო**

როცა ვხარშავთ ბლის მურაბას,
ეს ბზიკებიც გრძნობენ ალბათ.
ფანჯრებიდან ყველა ერთად
თავს დაგვესხმის მე და დედას.
აგვიტეხენ ალიაქოთს:
— ბზზუუ! მურაბა არის აქო!—
რას გააწყობ მათთან მტრულად!
ვიდრე იმ ტაშტს თავს დავხურავთ,
კოვზით ვილებ მურაბის წვენს,
დავიწვეთებ ხელისგულზე,
მერე ბზიკებს სტუმრად ვიწვევ:
— მოდით ჩემთან, ისაუზმეთ!—
ციცქნა ფრთოსანს მოსწონს ტკბილი,
მე ვარ ამით კმაყოფილი.
და ვუცქერი თავისუფლად
ხელისგულზე გაშლილ სუფრას...
დახეთ, ეს რა დრო გასულა
და შიშს თითქმის არ ვგრძნობ სულაც.
აბა, ჩემთან რა აქვს სამტრო,
კეთილი ვარ, კარგად მატყობს.
— ბზზუუ!—ბზიკი ბზუის ნაზად,
ულვაშს იგრეხს, წრეს მოხაზავს
და წასვლის წინ მეტყვის ჩუმად:
— მასპინძელი მოსწონს სტუმარს.
დღეის შემდეგ ვიყოთ ძმურად,
ერთმანეთის ხათრი გვქონდეს
და შენც ბუდეს ძველებურად
ნუ დაგვინგრევ ნურასოდეს.





# ჩვენი ვარსკვლავი

ოქტომბრელებო! „დილის“ ყველაზე უფროსო მკითხველებო! თქვენ უკვე პატარები აღარა ხართ! უკვე შეგიძლიათ ბევრი და საინტერესო საქმე აკეთოთ. ჩვენი დიდი ქვეყნის საერთო შრომაში თქვენ, თქვენმა „ვარსკვლავებმა“ უნდა თქვენი ძალ-ღონისა და შესაძლებლობის შესაფერი წვლილი შეიტანოთ — როგორც ციური ვარსკვლავებიდან თითოეულს თავისი წილი შუქი შეაქვს ჩვენს უსასრულო სამყაროში.

აკაკი წერეთელი ამბობს, ცაში ვარსკვლავი ვარსკვლავზეა დანათესი, „მაგრამ იმათში ყველაზე შუქურა [illegible]“

თქვენს „ვარსკვლავებს“ შორისაც უსათუოდ იქნება მჯობნის მჯობნი — შუქურვარსკვლავი.

და აი, ჩვენ გადავწყვიტეთ სასწავლო წლის განმავლობაში სამჯერ ჩვენს ჟურნალში გიამბოთ ოქტომბრელთა „ვარსკვლავებს“ შორის საუკეთესოზე...

რა უნდა გააკეთოთ იმისათვის, რომ საუკეთესონი გახდეთ?

მოუარეთ თქვენი სახლის და თქვენი სკოლის ეზოს, სასკოლო თუ შინაურ ნაკვეთს, ყვავილნარს, მიხედეთ წარსუ-

## ჯარჯი

ელისო ბილანიშვილი

ზაფხული მთაში გავატარე.

აგვისტოს ბოლოს თოვლი მოვიდა, ისე აცივდა, ცეცხლს ვეღარ მოვცილდი.

ჯარჯი ჩემს გვერდით არის ოღონდ ცეცხლთან არა ჯდება, ამ ჰაერს შეუჩვეველია. ექვსი წელია ყოველ ზაფხულს მთაში ატარებს. მამამისი, ლავრენტა, მწყემსია. დედა, ნატო, დოლში ეხმარება ხოლმე ლავრენტას. პატარა ბიჭიც მუდამ თან დაჰყავს. წელს სკოლაში უნდა მივიდეს ჯარჯი. გამხდარი, ქერა ბიჭუნა დაუღალელია და სიცოცხლით სავსე. არყის ქათქათა ტოტებს ეზიდება, ცეცხლს აყრის, თან ეშმაკური ღიმილი უთამაშებს მზისგან ატრუსულ სახეზე, შორიახლოს ჯდება და მეხვეწება:— კიდევ მითხარი ზღაპარი, დეიდ!

მე ზღაპრის გუდა დავცალე უკვე—გაჩუმებული ცეცხლს ჩავყურებ. ის კი მედავება:

— აბა, ის რა დევია, თუ ადამიანებს არ შეჭამს? ვის გაუგია ეგეთი დევი?

მე ვამტკიცებ:

— ქვეყნად, დასაბამიდან, სიკეთისა და მადლის მეტი არა ყოფილა რა. რაც მგლები გაჩნდნენ, იმის მერეა მტრობა და ბოროტება.

თაფლისფერი დიდი თვალები უფრო უდიდდება ბიჭს.

— მერე?

— მერე... წყალი მწყურია, ჯარჯო,—ვთხოვ,—მოფიქრებისთვის დრო მინდა, ხალხო!

ჯარჯი ოთხჭიქიან თუნგს იღებს და მერცხალივით მიფრინავს, მე წყაროზე ჩასულიც არა მგონია, ის წყალს მაწვდის უკვე.

ვსვამ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ძეგლებს... არ დაანაგვიანოთ წყალსაცავები — ზღვა, მდინარე, ტბა...

დაეხმარეთ საოჯახო თუ სოფლურ საქმეებში მშობლებს, მეზობლებს...

მოაგროვეთ სამკურნალო მცენარეები... მაკულატურა... ჯართი...

სამომავლოდ ჩარგეთ ნერგები...

თქვენი ხელით გააკეთეთ რაიმე სასარგებლო ნივთები, სათამაშოები, მოდელები...

მოამზადეთ წარმოდგენები... გამართეთ საკონცერტო „დილები"... დახატეთ, რაც თვალს მოგტაცებთ, ანდა რაც გულზე მოგხვდებათ... მოაწყეთ სპორტული შეჯიბრებები...

ჩაიწერეთ ვეტერანი კომკავშირელების, ძველი ბოლშევიკების, შრომისა და ომის გმირების ნაამბობები, უფროსების მონაყოლი საინტერესო ამბები, ხალხური ლექსები, ზღაპრები, თქმულებები...

აბა, ოქტომბრელთა რომელი რაზმი გაეცნობა თანატოლებს ჟურნალ „დილის" ახალ განყოფილებაში

**შუქურვარსკვლავი**



— რა ტკბილია შენი მოტანილი წყალი, ჯარჯი!

— ჰო, მაქარი მქონდა და ჩავაყარე! — მშვიდად მეუბნება ჯარჯი და იღიმის. — მერე, მითხარ, მგელი რომ არა ყოფილიყო, მტერი არ იქნებოდა?!



— ჰო, ჯარჯო, სადაც მტაცებელი არ არის, იქ არც მტრობაა, არც შური. აი, სადაც ცხვარია, იქ მშვიდობაა, სიკეთე, დოვლათი.

— აქ მგლები არ არიან. ცხვარი კი აუჰ... ერთი ჩქარა გავიზარდო!

— სკოლაში ხომ კარგად ისწავლი, ჯარჯი!

— ვისწავლი მაშ! აი, მერე რომ ამოვალ მთაში, წერა კარგად მეცოდინება და ყველა ლოდზე დავწერ.

— რას დაწერ, ჯარჯო?

— აი, რასაც მეუბნები.

— რა უნდა გამოხვიდე, ჯარჯი?

— მეცხვარე!

— განა ახლა მეცხვარე არა ხარ? კომბალი გიჭირავს და ყოველ საღამოს ცხვარს ბაკში ერეკები.

— ეს რა არი! აი, მართალი მეცხვარე მინდა ვიყო. უჰ, დილით ადრე ცხვარს რომ წამოვშლი, ავრეკავ აი იმ მთაზე, ყველაფერს დავინახავ იქიდან; მთელ ქვეყანას დავინახავ!

— მარტო მთაზე ასვლით ვერაფერს დაინახავ, ჯარჯი. ზამთარში სკოლაში ივლი, კარგად ისწავლი, ზაფხულში მთაში ივლი. ყველა მწვერვალზე ახვალ და მთელ ქვეყანას მაშინ დაინახავ.

— უუჰ...

აბრიალებულ ცეცხლს შეშას უმატებს ჯარჯი და მის თვალებშიაც ბრიალებს სიცოცხლისა და სიხარულის ცეცხლი.

მხატვარი ოთარ ჩხარტიშვილი

# პიონერის ანბანი




## არტეკი

1925 წლის ზაფხულის ერთ ცხელ დღეს, ყირიმის ზურმუხტოვანი სანაპირო ბავშვების ჟრიამულმა აავსო და ანძაზე ამაყად აფრიალდა წითელი ალამი. ასე დაიბადა სახელგანთქმული პიონერული ბანაკი „არტეკი“. სულ რაღაც ასი გოგო-ბიჭი თუ ესალმებოდა მაშინ ცაში ატყორცნილ წითელ ალამს, დღეს კი არტეკის დროშას ერთდროულად ოთხი ათასი ბავშვი აძლევს ხოლმე სალუტს.

იმ შორეული 1925 წლის ზაფხულს, ზღვის ნაპირას რვა პატარა კარავი იყო გამართული, დღეს კი არტეკის ქათქათა კორპუსებში ხუთი დამოუკიდებელი ბანაკია, სადაც ერთდროულად ხუთი ათასი ბავშვი ისვენებს. უზარმაზარია არტეკის სამფლობელოები: ლამაზი დიდი შენობები და პარკები, მოედნები და სტადიონები, ფლოტი და ავტობუსების სადგური, სკოლა და პიონერთა სასახლე.

განვლილი წლების მანძილზე, ვინ მოთვლის რამდენი სახელოვანი ადამიანი უნახავს არტეკს. აქ ქმნიდა საბავშვო მოთხრობებს არკადი გაიდარი, არტეკს ახსოვს პირველი კოსმონავტის იური გაგარინის ღიმილი, აქ შეხვედრიან პიონერებს ომისა და შრომის გმირები, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები.

არტეკში საბჭოთა პიონერებთან ერთად ისვენებენ უცხოელი ბავშვები. ისინი ეცნობიან საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებას, უმეგობრდებიან ჩვენს ბავშვებს.

პიონერთა ბანაკი „არტეკი“ ნორჩ ლენინელთა ძმობის, მეგობრობის შესანიშნავი სკოლაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ადგილთა ვინაობა



სოფელია თუ ქალაქი, მდინარე თუ ქუჩა, მთა თუ ტბა, ყველას თავთავისი სახელი ჰქვია.

რის მიხედვით დაერქვა ადგილს სახელი? რას ნიშნავს იგი? ზოგჯერ ამის გამოცნობა ძალიან ადვილია. მაგალითად, ყველამ იცის, რომ თბილისს ეს სახელი დაერქვა სამკურნალო თბილი წყლების გამო; საირმე ის ადგილია, სადაც ირმები მჟავე წყლის დასალევად დადიოდნენ, შემდეგ კი კურორტი გაშენდა; მყინვარწვერი მთას ჰქვია იმის გამო, რომ მისი წვერი ანუ მწვერვალი მუდამ ყინულიანია და ასე შემდეგ.

მაგრამ ბევრი ადგილის სახელწოდება ყველასათვის ასე გასაგები და ადვილად ასახსნელი როდია. მაგალითად, რატომ ჰქვია რამდენიმე სოფელს აგარა, ცნობილ კურორტს — აბასთუმანი, მდინარეს — ბზიფი, კავკასიონის უმაღლეს მწვერვალს — იალბუზი? გაინტერესებთ, ხომ?

ბიჭვინთა კურორტია შავი ზღვის სანაპიროზე. მისი სახელწოდება უკავშირდება მცენარის სახელს — ფიჭვს. ბიჭვინთაში საქვეყნოდ განთქმული ფიჭვნარია. სწორედ ამიტომ უწოდეს მას ჩვენმა წინაპრებმა ფიჭვინთა ანუ ბიჭვინთა.

ყვირილა ყველაზე დიდი მდინარეა ზემო იმერეთში. ზესტაფონამდე, ვიდრე კოლხეთის დაბლობს მიაღწევდეს და გაივაკებდეს, ყვირილა დიდი ზათქითა და შხუილით მიედინება. ამიტომ დაურქმევიათ მისთვის ყვირილა. ძველი ბერძენი ისტორიკოსები მას ბოასს უწოდებდნენ, რაც ქართული სახელწოდების ბერძნული თარგმანია.

იალბუზი — კავკასიონის უმაღლესი მწვერვალის სახელი — წარმოშობით ირანული სიტყვაა და მაღალ მთას ნიშნავს.

„დილის" ბიბლიოთეკა
წიგნი პირველი

გაგრძელება შემდეგ
ნომერში

ამოიღე ჟურნალის ეს ორი ფურცელი, ისე გაკეცე, რომ გვერდი გვერდს მიჰყვეს. მიიღებ პატარა წიგნს

მარკ ტვენი

# [illegible]



ალარ შემეშინდება. როცა ყველანი ერთად ვართ, არ მეშინია ხოლმე. აბა, მამი, დაიწყე.

— იყო და არა იყო რა, იყო სამი პოლკოვნიკი.

— უჰ, შენი გულისა! მე მინახავს პოლკოვნიკები, ვიცი, როგორი მუნდირები აცვიათ! შენც ხომ პოლკოვნიკი ხარ! მერე?

— ერთხელ პოლკოვნიკებმა სამხედრო დისციპლინა დაარღვიეს.

გრძელი, უცნობი სიტყვა მოეწონა გოგონას, ცოცხალი, ცნობისმოყვარე თვალები მამას მიაპყრო და ჰკითხა:

— დისციპლინა? რა არის დისციპლინა, გემრიელია, მამა?

— არა, ძვირფასო, ეს სულ სხვა რამეა. იმ პოლკოვნიკებმა, მე ვიზედაც გელაპარაკები, თავიანთ უფლებებს გადააჭარბეს... — უპასუხა მამამ.

— არც ეს იჭმ..

— არა, არც ეს იჭმევა... მისმინე. ბრძოლა



თითქმის წაგებული იყო. მტრის მთავარი ძალები რომ მიეზიდათ და რესპუბლიკის ჯარისათვის უკან დახევის საშუალება მიეცათ, პოლკოვნიკებს ცრუ იერიშის ჩატარება უბრძანეს, მაგრამ მათ ზედმეტი გულმოდგინება გამოიჩინეს, ბრძანება დაარღვიეს, ცრუ იერიში ნამდვილ იერიშად გადააქციეს, მოწინააღმდეგის სიმაგრე აიღეს, ბრძოლა მოიგეს და საბოლოოდაც გაიმარჯვეს. მათმა ასეთმა საქციელმა გენერალი განარისხა. პოლკოვნიკებს სიმამაცე შეუქო, მაგრამ ბრძანების შეუსრულებლობისათვის სამივე სამხედრო სასამართლოს გადასცა.

— რომელმა გენერალმა? დიდმა გენერალმა კრომველმა, მამა?

— ჰო, შვილო.

— იცი, მამი, მე მინახავს გენერალი კრომველი. ჩვენი სახლის წინ ჩაივლის ხოლმე თავის ცხენზე ამხედრებული, უკან ჯარისკაცები მიჰყვებიან. ისეთი სახე აქვს, თითქოს მუ-

ეს ამბავი ოლივერ კრომველის დროს მოხდა. იმ დროს ინგლისის რესპუბლიკის არმიაში ყველაზე ახალგაზრდა პოლკოვნიკი მეიფერი იყო. ჩვიდმეტი წლიდან სამხედრო სამსახურსა და ომებში გამოწრთობილს ის-ის იყო ოცდაათი წლისთვის გადაებიჯებინა, მაგრამ ვეტერანად ითვლებოდა. მრავალი ლაშქრობის მონაწილეს ბრძოლის ველზე ბევრჯერ უსახელებია თავი. ჯარისკაცებს გულითადად უყვარდათ იგი. სამხედრო სამსახურშიც მეიფერი დღითიდღე წინ მიიწევდა, მაგრამ ერთხელ, მოულოდნელად დიდი უბედურება დაატყდა თავს.

საღამო იყო. გარეთ უკუნი ჩამოწოლილიყო და ქარბუქი მძვინვარებდა. პოლკოვნიკმა და მისმა ახალგაზრდა მეუღლემ თავიანთი უბედურება უკვე გამოიგლოვეს; ახლა ისინი ხელიხელჩაკიდებულნი მდუმარედ ისხდნენ მოგიზგიზე ბუხართან, თავიანთ უბედურ ხვედრზე ფიქრობდნენ და ელოდნენ. ორივემ კა-



გვცაო. ამ სიტყვებმა ძალზე იმოქმედა გენერალზე. იგი დიდხანს იდგა ჩაფიქრებული, მრისხანე სახე თანდათან მოულბა. მერე ბრძანა, მომიცადეთო და კაბინეტში განმარტოვდა. როცა შემობრუნდა, თქვა:

— მსჯავრდადებულებმა კენჭი ყარონ, ვისაც კენჭი შეხვდება — მოკვდება, ორი დანარჩენი შემიწყნარებია!

— მართლა ასე ბრძანა?! მერე, რომელი უნდა მოკვდეს? საწყალი როგორ მეცოდება!

— არა, შვილო, მათ კენჭის ყრაზე უარი თქვეს.

— მართლა? რატომ, მამა?

— თუ სამივე დამნაშავე ვართ, — თქვეს მათ, — სამივე ერთად დავიხოცოთ. დაე, სასამართლოს განაჩენი სისრულეში მოიყვანონო.

— ეს რას ნიშნავს, მამა?

— ეს იმას ნიშნავს, რომ სამივეს დახვრეტენ!

— ჩუ! ნაბიჯების ხმაა!







დამ გულმოსულია. ეტყობა, ყველას, ყველას ეშინია მისი. მე კი სულაც არ მეშინია, იმიტომ რომ ერთხელ სულ სხვანაირად შემომხედა.

— ოჰ, შე ენატიკტიკავ, მისმინე, რა მოხდა შემდეგ. — პოლკოვნიკები ლონდონში ჩამოიყვანეს, რომ ტრიბუნალზე გაესამართლებინათ; მერე პატიოსანი სიტყვა ჩამოართვეს და ცოტა ხნით შინ გაუშვეს ცოლ-შვილთან გამოსათხოვებლად.

ქუჩიდან ისევ რაღაცის ხმა მოისმა.

ისევ ნაბიჯების ხმა იყო. ქალს მკვდრისფერი დაედო. სახე რომ დაემალა, ქმარს მხარზე დაადო თავი. ნაბიჯების ხმა თანდათან მიწყდა.

— ისინი ამ დილით ჩამოვიდნენ ლონდონში, — განაგრძო მამამ.

გაოცებულმა ბავშვმა თვალები დააჭყიტა.

— ეს ნამდვილი ამბავია?

— კი, ძვირფასო!

— რა საინტერესოა! ზღაპარსაც კი ჯობია.



რგად იცოდა, რომ დიდხანს არ [illegible] ბოლოდ ლოდინი.

მათ ერთადერთი გოგონა ჰყავდათ, ერთადერთი ხატი და სალოცავი, შვიდი წლის აბი. უცებ პოლკოვნიკმა სიჩუმე დაარღვია და ცოლს მიმართა:

— მოიწმინდე ცრემლები, ბავშვი შემოვა ახლა, ნურაფერს ვაგრძნობინებთ.

— კი მაგრამ როგორ გაუძლოს სულმა ამდენ ტანჯვას...

— ჩუ, ჩუ, ძვირფასო!.. მგონი მოდის.

ღრიჭოში ჯერ კულულებიანი თავი გამოჩნდა, მერე კარი მთლიანად გაიღო და ოთახში სალამური პერანგისამარა აბი შემოცქრიალდა. მამამ გულში ჩაიკრა თავისი ერთა და მხურვალედ ჩაკოცნა.

— რას სჩადი მამიკო, ასე როგორ შეიძლება, თმებს სულ ამიწეწავ...

— მაპატიე, შვილო. მეტს აღარ ვიზამ!

— გაპატიებ, აბა რა, გაპატიებ! ოღონდ



თანდათან მიჩუმდა და ბოლოს სადღაც ჩაიკარგა.

პოლკოვნიკმა და მისმა მეუღლემ შვებით ამოისუნთქეს; მამა აბის მიუბრუნდა:

— ზღაპარი? მაშ, მოდი, მხიარულ ზღაპარს მოგიყვები!

— არა, მხიარული ზღაპარი არ მინდა, საშიში ზღაპარი მომიყევი.

მამა ცდილობდა დაერწმუნებინა აბი, საშიშ ზღაპარს მხიარული ზღაპარი ჯობსო, მაგრამ გოგონა თავისას არ იშლიდა: ახლახან არ დამპირდი, რასაც მოისურვებ შეგისრულებო?

— მუდამ მხიარული ზღაპრების მოყოლა ხომ არ შეიძლება! ძიძა მეუბნება, ადამიანებს სულ მუდამ კი არ ულხინთო. ჰოდა, თუ ასეა, მომიყევი ზღაპარი უბედურ ადამიანებზე. ოღონდ ისეთი საშინელი იყოს, ისეთი, შიშისაგან ჟრუანტელმა დაგვიაროს. დედიკო, ახლოს დაგვიჯექი, ხელზე ხელი მომხვიე და



მერე, მერე რა მოხდა, მამი? დედა, დედიკო, შენ რატომ ტირი?

— არაფერი, შვილო... ის უბედური ოჯახები გამახსენდა და...

— ნუ ტირი, დედი! ნახავ, თუ ყველაფერი კარგად არ დამთავრდეს. განაგრძე, მამა!

— სანამ შინ გამოუშვებდნენ, პოლკოვნიკები ტაუერის ციხეში ჰყავდათ...

— მე ვიცი, სად არის ტაუერი, აქედანაც კი ჩანს. მერე რა მოხდა? მოყევი, ჩქარა დაამთავრე, მამი.

— კი, ახლავე დავამთავრებ, ჩემო გოგონა. ჰოდა, იმას ვამბობდი. ტაუერში პოლკოვნიკები სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლა. სასამართლო ერთ საათს გრძელდებოდა. ისინი დამნაშავედ სცნეს და სამივეს დახვრეტა მიუსაჯეს.

— რაო! უნდა მოკლან?

— ჰო!

— ოჰ, რა საძაგლობაა! დედიკო, ისევ ატი-

მითხარი, მართლა მთხოვ პატიებას თუ ისე ამბობ, თქვი, განზრახ ხომ არ მეუბნები?

მამამ ხელები სახეზე აიფარა და ვითომ ვტირიო, სლუკუნი დაიწყო. გოგონა ძალიან შეწუხდა, მამა რომ ატირებული დაინახა, და თვითონაც ასლუკუნდა. მერე სწვდა მამას ხელებში, უნდოდა როგორმე სახეზე შეეხედა, ექაჩებოდა და თან ევედრებოდა:

— ნუ ტირი, მამი, ნუ! სულაც არ მინდოდა შენი წყენინება. გეფიცები, არ მინდოდა..

ბავშვი მთელი ძალით ექაჩებოდა მამას ხელებზე და ცდილობდა, თითები გაეშლევინებინა.

ერთი წამით ჩამოაშვებინა კიდეც ხელები სახიდან, დაიჭირა მისი მზერა და შეჰყვირა:

— აჰა, არ ტირი ხომ? მატყუებ? შენ ცუდი მამა ხარ, გაგებუტე, ჩქარა გამიშვი, შენთან აღარ მინდა, დედასთან მივდივარ.

მუხლებზე წამოსკუპებულმა გოგონამ ძირს



ეროვნული ბიბლიოთეკა

ხავს! ასე ვეტყვი და აუცილებლად მაკოცნინებენ! ხომ, მამა?

— კი, ძვირფასო, კი, აუცილებლად გაკოცნინებენ.

— მერე, მამა?

— სამხედრო ტრიბუნალის ზოგიერთ წევრს შეეცოდა პოლკოვნიკები, ეახლნენ გენერალს და მოახსენეს: — ჩვენ შევასრულეთ ჩვენი ვალი, — შენ გესმის ალბათ, რომ ეს მათი მოქალაქეობრივი ვალი იყო; — მაგრამ ახლა გთხოვთ, ორი დამნაშავე მაინც შეიწყალოთ, გარწმუნებთ, სხვების ჭკუის სასწავლებლად ერთის დასჯაც საკმარისიაო. მაგრამ გენერალი შეუდრეკელი იყო. მსაჯულებს საყვედური უთხრა: თქვენი ვალი პირნათლად მოიხადეთ, თქვენი სინდისი სუფთაა და ახლა აღარ გენაღვლებათ, თუ სინდისს ვუღალატებ და ამით ჩემს ჯარისკაცულ მუნდირს შევბღალავო. მაშინ ტრიბუნალის წევრებმა უპასუხეს: მხოლოდ იმას გთხოვთ, რასაც ჩვენ თვითონ გავაკეთებდით, თქვენოდენა უფლება რომ მო-





ჩამოხტომა დააპირა, მაგრამ მამამ არ გაუშვა, მოეხვია და უთხრა:

— ნუ მიწყრები, ჩემო გოგონა. მაპატიე. ვაღიარებ ჩემს დანაშაულს. იყავი ჩემთან, გაკოცებ, ცრემლს მოგწმენდ. ოღონდ ეს ერთი მაპატიე და, ამიერიდან რასაც მიბრძანებ, შეგისრულებ. ასე არა ჯობს? აი, ცრემლები მოგწმინდე, აღარც თმები გაქვს აწეწილი. დღეიდან რასაც ჩემი პატარა აბი მოისურვებს, მზად ვარ შევუსრულო.

მამა-შვილს შორის მშვიდობა ჩამოვარდა. გოგონას სახე გაებადრა, მამას ყელზე მოხვია ხელი და მაშინვე შერიგების საზღაური მოითხოვა:

— ზღაპარი! აბა, ჩქარა მომიყევი ზღაპარი!

მაგრამ ეს რაა, რა ხმები ისმის გარედან?

უფროსებს სუნთქვა შეეკრათ. სმენად იქცნენ: ნაბიჯების ხმა... ქარის ზუზუნში ძლივს ისმის ფეხის ხმა... ახლოვდება... ახლოვდება... სულ ახლოსაა... მაგრამ აი, ფეხის ხმა



რდი? ნუ ტირი, ნუ, ახლავე კარგად დამთავრდება ყველაფერი. იჩქარე, მამა, იჩქარე, ეგებ დედა დამშვიდდეს. რა მოგივიდა, რა ნელა ყვები!

— ჰო, მგონი, მართლაც ნელა ვყვები. ერთი სიტყვით, ის სამი პოლკოვნიკი...

— შენ იცნობ იმ პოლკოვნიკებს, მამა?

— კი, ძვირფასო.

— მეც მინდა მათი გაცნობა. მე მიყვარს პოლკოვნიკები. როგორ გგონია, რომ ვთხოვო, მაკოცნინებენ?

პოლკოვნიკმა ყრუდ უპასუხა:

— ერთი აუცილებლად გაკოცნინებს. დანამდვილებით ვიცი — გაკოცნინებს. მოდი, მის მაგიერ ახლა მე მაკოცე.

— აჰა, ეს ერთი იმის მაგივრად. ეს ორი კი — იმ ორის ნაცვლად. პოლკოვნიკებს რომ ვნახავ, ვეტყვი: მამაჩემიც პოლკოვნიკია, ისიც თქვენსავით მამაცია, ისიც ასევე მოიქცეოდამეთქი. იმ საზიზღარ სასამართლოს ვინ კით-

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მცოცავი ორშაურიანი

სუფრაგადაფარებულ მაგიდაზე დადე ორშაურიანი და ზედ ჭიქა დააპირქვავე. ჭიქას კიდეებში აბაზიანები შეუწყვე. როგორ უნდა გამოიღო ორშაურიანი ისე, რომ ჭიქას ხელი არ ახლო?

სალოკი თითით სუფრის ფხაჭნა დაიწყე—ჭიქის კიდიდან შენსკენ, თითის ყოველი მოსმის შემდეგ ქსოვილი კვლავ გასწორდება, ორშაურიანი კი ინერციის წყალობით თანდათან გარეთ გამოცოცდება.

## შეშინებული ასანთის ღერები



ღრმა თეფშზე ან ჯამზე დაასხი წყალი და წყლის ზედაპირზე ვარსკვლავისებურად გააწყვე ასანთის ღერები. ამ „ვარსკვლავის“ ცენტრს შეეხე თავწაწვეტებული საპნის ნაჭრით — ასანთის ღერები მყისვე შეშინებულებივით აქეთ-იქით „გაიქცევიან“. მათ ისე „ეშინიათ“ საპნის, როგორც ჩვენს ნაცნობ ზოგიერთ ბავშვს.

როგორღა უნდა მოიქცე, რომ გაფანტულ ასანთის ღერებს კვლავ მოუყარო თავი?

აიღე შაქრის ნატეხი და წყალში ჩაყავი, ასანთის ღერები მაშინვე მოირბენენ ჯამის ცენტრში და შაქრის ირგვლივ მოგროვდებიან.



## ანაგრამა

ბავშვებო, გადააქციეთ ეს სიტყვები სხვა სიტყვებად.

| | |
|---|---|
| თივა | ლომი |
| ოქრო | რიონი |
| ნამი | ალმასი |



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საგზაო ნიშნები





დაქრიან ქუჩაში და გზატკეცილებზე ათასგვარი ავტობუსები, მანქანები... გაფაციცებული იცქირება წინ მძღოლი, ხან აქეთ, ხან იქით მიაბრუნებს საჭეს—ფრთხილად უქცევს გვერდს პატარ-პატარა ორმოებს. მერე მანქანას გზისკიდურისკენ წაიყვანს, რათა წინ მიმავალ საბარგო მანქანას გვერდი აუქციოს.

მძღოლი მარტო წინ როდი იყურება, მარტო ქუჩას როდი აკვირდება. წამდაუწუმ მარჯვნივაც გაიხედავს ხოლმე.

რატომ იხედება მარჯვნივ? რას ხედავს იქ?

რასა და საგზაო ნიშნებს!

საგზაო ნიშნები მთელი გზის გასწვრივ არის ჩარიგებული. ეს ნიშნები ბევრნაირია: ზოგი მრგვალი, ზოგი სამკუთხედი, ზოგი ოთხკუთხედი და ყველა თავის ენაზე ელაპარაკება მძღოლს—ერთი რაღაცას უკრძალავს, მეორე აფრთხილებს, მესამე მიუთითებს, მეოთხე ნებას რთავს...

საგზაო ნიშნები მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირია: ამერიკელისათვის, იაპონელის, იტალიელის, ინდოელისა თუ არაბისათვის.

მაინც როგორია საგზაო ნიშნები?

როცა წითელზოლშემოვლებულ ყვითელ სამკუთხედ-



მიხვეულ-მოხვეული გზა   მთავარი ქუჩის გადაკვეთა   ფეხით მოსიარულე

ში რაიმეა ჩახატული—ეს გამაფრთხილებელი ნიშანია. ასეთი ნიშნები მძღოლს აფრთხილებს: სიჩქარეს მოუკელი, მანქანა ფრთხილად ატარეო. სამკუთხედში ჩახატულის მიხედვით მძღოლი ხვდება: მალე გზაჯვარედინი იქნება და გვერდითა გზიდან შეიძლება მანქანა გამოვარდესო, რკინიგზაზე გადასასვლელი ახლოვდებაო. ზოგი მიუთითებს, მარჯვნივ შესახვევი იქნება ან აქ, ახლოს დალმარ-

თი იწყებაო. დაკვირვებული ბავშვი ალბათ თავის სკოლასთან შეამჩნევდა ასეთ ნიშანს—სამკუთხედში ორი ბავშვია ჩახატული. ეს მძღოლს მიანიშნებს—მეტად ფრთხილად იყავი, აქ ბავშვები გადადიან და გადმოდიანო.



მსუბუქი ავტომანქანების მოძრაობა — მოძრაობა ნებადართულია ამ მიმართულებით — წინაღობას აქედან უნდა შემოუარო

მრგვალ ლურჯ ნიშნებს, როცა შიგ თეთრი ისრებია, მიმთითებლები ჰქვია. ეს ნიშნები მძღოლს მიუთითებს: აქ მხოლოდ მარჯვნივ, აქ მხოლოდ მარცხნივ შეიძლება მოხვევა, აქ კი პირდაპირ უნდა წახვიდეო.




წონის შეზღუდვა — მარცხნივ მოხვევა აკრძალულია — საჭაპანო ტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია — შესვლა აკრძალულია

ყვითელი წრე, როცა მას ირგვლივ წითელი წრე არტყია, ამკრძალავი ნიშანია. ერთი მძღოლს ეუბნება: აქ გასწრება არ შეიძლებაო; მეორე—აქ მოტოციკლით და ველოსიპედით გავლა აკრძალულიაო; მესამე ლაპარაკობს—აქ საავადმყოფოა და საყვირი არ ააყვიროთო. თუ ნიშანში ჩაწერილია, ვთქვათ, ციფრი „60“ ეს ნიშნავს, რომ საათში 60 კილომეტრზე მეტი სისწრაფით გავლა აკრძალულია.

ყველაზე მკაცრ ამკრძალავ ნიშანს მძღოლები „აგურს“ უწოდებენ. სადაც ეს ნიშანი ჰკიდია, იქ მანქანის შესვლა აკრძალულია.



მოსახვევი ადგილი — ავტოტურისტების პარკი — სამედიცინო დახმარების პუნქტი — ავტოგასამართი

ლურჯი ოთხკუთხა ნიშნები მიმთითებლებია: თუ თეფში ხატია, მალე სასადილო იქნებაო, თუ წითელი ჯვარი—საავადმყოფო ან მედპუნქტი ყოფილა ახლოს.

ნიშნები სხვაც ბევრია და თუ ვერ მიხვდები, რომელი რისი მაჩვენებელია, უფროსები სიამოვნებით აგიხსნიან. თუკი საგზაო ნიშნები გეცოდინება, ტრანსპორტით მოგზაურობისას მიხვდები იმ უთქმელ საუბარს, ქუჩასა და მძღოლს შორის რომ არის გამართული.

## დაიმახსოვრეთ ეს წესები

1. იარე ტროტუარზე;

2. ნუ ითამაშებ ქუჩაში, გზაზე;

3. ქუჩა მხოლოდ გადასასვლელზე ან მიწისქვეშა გვირაბით გადაკვეთე;

4. ქუჩაზე გადასვლისას ჯერ მარცხნივ მოიხედე, მერე მარჯვნივ;

5. ნუ გადაურბენ წინ ავტომანქანას;

6. ნუ გადაჭრი ქუჩას, როცა შუქნიშანზე წითელი შუქი ანთია;

7. გაჩერებულ ავტობუსს წინიდან კი არა, აუცილებლად უკნიდან შემოუარე;

8. გაჩერებულ ტრამვაის მხოლოდ წინიდან შემოუარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ ჰქვია ამერიკას ამერიკა?

**გვეკითხება უშინსკის სახელობის თბილისის 163-ე ექსპერიმენტული საშუალო სკოლის II კლასის მოსწავლე ლექსო ბატიაშვილი**



საყოველთაოდ გავრცელებულია აზრი, რომ ამერიკას სახელი დაერქვა იტალიელი ზღვაოსნის ამერიგო ვესპუჩის საპატივცემლოდ, თუმცა ამერიკის პირველაღმომჩენად ევროპელებს შორის აღიარებულია ქრისტეფორე კოლუმბი, რომელიც 1492 წლის ოქტომბერში სამი ესპანური კარაველით ევროპელებისთვის მანამდე უცნობ ბაჰამის კუნძულებს მიადგა. ამის შემდეგ კოლუმბმა კიდევ სამჯერ იმოგზაურა ახალი მიწისაკენ და აღმოაჩინა სამხრეთ და ცენტრალური ამერიკის სანაპიროები.

1497, 1499 და 1501 წლებში ახალი მიწის სხვა ნაწილები აღმოაჩინეს სხვა ევროპელმა ზღვაოსნებმა.

1503 წელს კი ამერიგო ვესპუჩიმ საფუძვლიანად შეისწავლა ბრაზილიის სანაპიროები. აი, თითქოს ამის შემდეგ დაერქვა ახალ მიწას ამერიგოს სახელი. მაგრამ ბოლო წლებში ინგლისელმა მკვლევარებმა გამოთქვეს აზრი, რომ ამერიკის სახელწოდება უკავშირდება ინგლისელი ზღვაოსნის ჯონ კაბოტის მოგზაურობას. ჯონ კაბოტი იტალიელი იყო ქალაქ გენუიდან (მისი სახელი იყო ჯოვანი კაბოტო), მაგრამ ინგლისში მსახურობდა. და აი, 1497 წლის მაისში იგი თავისი ექსპედიციის წევრებთან ერთად ხომალდ „მეტიუთი" გავიდა ბრისტოლის პორტიდან, ივლისში ჩრდილოეთ ამერიკის ნაპირებს მიადგა და პირველმა დადგა ფეხი ნიუფაუნდლენდზე, რაც ინგლისურად ახალაღმოჩენილ მიწას ნიშნავს; შემდეგ აღმოაჩინა ლაბრადორი და გამოიკვლია ამერიკის აღმოსავლეთ სანაპირო.

კაბოტის მოგზაურობას თურმე აფინანსებდნენ ბრისტოლელი ვაჭრები. აღმოჩნდა ფულადი ანგარიშების საბუთი, რომელიც იწყება ბრისტოლელი ვაჭრის და საბაჟოს უფროსის რიჩარდ ამერიკის სახელით; ბეჭედზეც მისი გვარია ამოკვეთილი — ა მ ე რ ი კ. ინგლისელები ვარაუდობენ, იქნებ ჯონ კაბოტმა, მადლობა რომ გამოეხატა იმ კაცის მიმართ, ვისი სახსრებითაც მოაწყო თავისი შესანიშნავი საზღვაოსნო მოგზაურობა, აღმოჩენილ მიწას მისი სახელი დაარქვაო.

ვნახოთ, მომავალში რას იტყვის მეცნიერება.

მხატვარი [illegible]



# შავი კატა და დაბნეული მარილი

**რატომ იპყრობს ზოგიერთ ადამიანს შიში, როდესაც გზას შავი კატა გადაუჭრის? რატომ აშფოთებს მოხუცები, ჩხუბი მოხდება, როდესაც მარილი დაიბნევა? გვეკითხება ზუგდიდელი მოსწავლე ლალი შონია.**

ძველად, როდესაც ადამიანს არ შეეძლო აეხსნა ბუნების მოვლენები, როდესაც იგი უძლური იყო გამოეცნო ათასგვარი მიზეზი, რომლებიც წამდაუწუმ ეღობებოდა გზაზე, ბევრ რამეს ავ სულს, ქინკას, ეშმაკს, კუდიანს აბრალებდა ხოლმე. ადამიანს ეგონა, ავი სული შეუმჩნეველი რომ იყოს, უმეტესად შავ კატად იქცევაო.

რატომ მოხდა, რომ ადამიანის წარმოდგენამ მავნე ძალა მაინცდამაინც შავ კატას დაუკავშირა?

კატა ევროპაში ეგვიპტიდან შემოუყვანიათ. ცნობილია, რომ ცრუმორწმუნე ადამიანებს ოდითგანვე შიშის ზარსა სცემდა შავი ფერი, რადგან სიბნელეში იგი ვერ ამჩნევდა ხიფათს, რომელსაც მას ყოველ ნაბიჯზე უმზადებდა ბუნება. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ევროპელებმა მათთვის მანამდე უცნობი შავი ფერის არსება ავსულად წარმოადგინეს. ეს სრულიად უსაფუძვლო შიში ზოგიერთ ადამიანს დღესაც აქვს. აქა-იქ გაიგონებთ ხოლმე: კატა შემხვდა და დავინავსე, საქმე გამიფუჭდაო. შესაძლოა შავი კატა რომ შეგხვდება, იმ დღეს მართლაც შეგემთხვეს ცუდი რამ, მაგრამ განა ეს კატის ბრალი იქნება? რასაკვირველია არა. აბა, გაიხსენე, რამდენჯერ შეგხვედრია შავი კატა, და იმ დღეს კი სავსებით ჩვეულებრივად, ყოველგვარი ხიფათის გარეშე ჩაუვლია.



როგორ გაჩნდა რწმენა, თითქოს მარილის დაბნევა ჩხუბის მომასწავებელი იყოს?

ძველად ადამიანმა მარილის მიღების წესი არ იცოდა, შორიდან შემოტანა კი იმ დროს ძალიან ჰქონდა. მაგალითად, ქართველებს მარილი შორეული აღზევანიდან მოჰქონდათ. ამის კვალი ხალხურ ლექს-სიმღერებშიაც შემორჩა. იქნებ თქვენც გაგიგონიათ „ურმულის" სიტყვები:

„აღზევანს წავალ მარილზე,
მარილს მოვიტან ბროლსაო".

ისე რომ მარილი ბევრი ხალხისათვის ფასდაუდებელი რამ იყო. მარილისათვის დავა იმართებოდა არა მარტო ოჯახებს, არამედ ტომებს შორისაც კი. ჰოდა, რა გასაკვირია, ადამიანს, რომელიც თვიდან თვემდე უმარილო საჭმელს ჭამდა, მარილის დაბნევა დიდ უბედურებად მიეჩნია.

ასე რომ, ტყუილად ეშინია ზოგიერთს — არც შავი კატის შეხვედრა და არც მარილის დაბნევა არავითარი მოსალოდნელი საშიშროების ნიშანი არ არის.





## ხალხური გამოცანები

ერთი თეთრი კომკი ვიცი,—
კარ-ფანჯარა ვერსად ნახეს,
შიგ რომ მდგმური გაიღვიძებს
კარს თვითონვე გამოაღებს.

ერთი შრომელი მწერია,
ტკბილ-ტკბილ საჩუქრებს გვპირდება,
სახლი აქვს ისე ნაშენი,
ხუროსაც გაუკვირდება.

გავიხედე მინდორში
სიო-ქარი ქრისო,
ქვეშა იმას ურტყამს,
სისხლი არა სდისო.



ზივი გეგეჭკორი

# კუ და მორიელი

## იგავი

სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით

ძმობა თქვეს და გზას დაადგნენ
ერთხელ კუ და მორიელი,
მაგრამ ერთგან წყალი დახვდათ
და შეჩერდნენ ორივენი.
„რა ძმობაა,—კუმ თქვა,—ძმას თუ
არ ვუშველე გასაჭირში?
მე გავიყვან, ამას ფიქრი
არ უნდა და ანგარიში“.
კუმ შეისვა მორიელი,
ძმაკაცს როდი უღალატა,
მაგრამ წყალში რომ შევიდნენ,
მორიელმა მუხანათმა
კუს დაუწყო ზურგზე კბენა.
კუმ ასძახა: „ჰირი მიშვი,
ნეტავი რას მემართლები,
გამოგადექ გასაჭირში...“
მორიელმა უთხრა: „რა ვქნა,
როგორ უნდა გკბენდე, როგორ,
მაგრამ ჩვენი წესი არი,
რომ არავინ არ დავზოგოთ;
მტერი იყოს გინდ მოყვარე,
უნდა ვკესლოთ ორივენი...“
კუმ დაიყურყუმელავა
და წყალს მისცა მორიელი.
უთხრა: „ძმაო, არც მე მინდა,
მაგრამ ჩვენი წესი არი,
გავსივდებით, ხორცი თუ არ
გავიბანეთ ვესლიანი...“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჩვენი ეზოს ანსამბლი

**კ. გოგიაშვილი**

შინაური ცხოველები
ამა წელს და ამა თვეს
შეიკრიბნენ ჩვენს ეზოში
და კონცერტი გამართეს.
ხბო, თხა, ფისო, ცუგრიკელა
ყველა ერთად მღეროდა!
— აბა, დელი, დელი, დელა
აბა, რაშოვრეროვ—და!—
ბატს, იხვსა თუ ინდაურსა
წინ უძღოდა მამალი,
მოდიოდა რიხიანად
ჭრელ ქათმების ამალით,
— აქეთ, აქეთ!—თან იძახდა:
ჭრელო იხვო ვახვახა,—
მამლაყინწა ჩელტზე შეხტა
ყიყ-ლი-ყოო,—დასძახა.
ბატმა ყელი მოიღერა:
— სსს, იყავით ჩუმადო,
თორემ აქედან გაგყრიან
უწესოს და უმადურს.
გამორბიან ქალი, კაცი,
მოხუცი თუ პატარა,
იხვი «ვახ, ვახს» გაიძახის
იხვი—ენატარტალა.
სიმღერის ხმა შორს გაისმის:
— აბა, დელი, დელია,
ერთი კიდევ დაგვენახვე
ქურდბაცაცა მელია!
ფისო კნავის, ხბო ბანს აძლევს,
თხა კიკინებს მეორეს,
დახეთ! «ბისზე» ეს სიმღერა
ისევ გაიმეორეს.
არა გჯერათ, მაშ მობრძანდით
ჩვენს ეზოში როდისმე,
ამ ანსამბლის რეპერტუარს
აღტაცებით მოისმენთ.



# არდადეგები

**შალვა შუბლაძე**

სანაქებოდ დავასრულეთ
წლევანდელი წელი,
შავ ზღვას ერთად მივაშურეთ
მე, ზურიკომ, ნელიმ.
მოხასხასე მზის ფერები
გადიშალა თვალწინ.
სივრცეს ვსერავთ გლისერებით
მთის სერების გასწვრივ.



# დიდი გოგო

**შოთა ხოდაშნელი**

რძის მაწონად ჩადედება,
ნამცხვრის ცხობა,
ცომის ზელა,
კვერცხის შეწვა,
მჭადის ჩასმა
რა მშვენივრად იცის ლელამ!..
ხალათს ღილი აწყვეტილი
ისე უცებ მიაკერა,
მამიკომ თქვა, დედიკოსგან
შენი ქება ახლა მჯერა—
— უკვე დიდი გოგო მყავსო—
ათი წლისა გახდა ლელა...

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა
76055

# კურკა-კირკიტელას საქმეები



აი როგორ უნდა გააკეთოთ გაზეთით საჩრდილობელი

საქართველოს ალ.კკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს საბავშვო ჟურნალი უმცროსკლასელთათვის
გამოცემის 53-ე წელი
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა
Издательство ЦК КП Грузии

ყდაზე ნახატი მანანა მორჩილაძისა

მთავარი რედაქტორი მუხრან მაჭავარიანი

სარედაქციო კოლეგია: ედუარდ ამბოკაძე, ილია ანთელავა, კუკური გოგიაშვილი, სოლომონ დემურხანაშვილი, ლეილა ერაძე, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ მდივანი), მანანა კობახიძე, გელა ლოსაბერიძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯურხა ნადირაძე, გიორგი რონიმიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), გივი ძნელაძე, მერი წიკლაური, გივი ჭიჭინაძე.

ტექრედაქტორი ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის, 14. ტელ: მთ. რედაქტორის — 93-41-30, 93-98-15; პ/მგ მდივნის — 93-41-30, 93-98-18; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფ. 93-10-32, 93-98-19; 93-98-16.

გადაეცა ასაწყობად 7/VI-80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/VIII-80 წ., ქაღალდის ზომა 60×90¹/₈. ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5, ტირაჟი 167.100. შეკვ. № 1639. „Дила“ № 8. журнал для младшеклассников. на грузинском языке. ფასი 20 კაპ.